ფონდი “კრისტალი”

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება:	
ბალანსი	4
მოგება-ზარალის უწყისი	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	6
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8-13

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია
Georgian Audit & Consulting Company
A Crowe Horwath Business Alliance Associate

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფონდი "კრისტალის" გამგეობას:

ჩვენ ჩავატარეთ ფონდი "კრისტალის" თანდართული 2008 წლის 31 დეკემბრის ბალანსის უწყისის აუდიტი. ჩვენ აგრეთვე ჩავატარეთ მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის აუდიტი. აღნიშნული ფინანსური უწყისების მომზადება წარმოადგენს კომპანიის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე აზრის გამოხატვა ამ ფინანსურ უწყისების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, მოცემული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ფონდის ფინანსურ მდგომარეობას 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

GACC

საქართველოს აუდიტორული და საკონსულტაციო კომპანია

A Crowe Horwath Business Alliance Associate

5 აგვისტო 2009

საქართველო, თბილისი 0179, კოსტავას ქ. 47 / 47, Kostava St., 0179 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 98 40 39, 25 31 61 Tel./Fax: (995 32) 43 83 55, E-mail: gacc@caucasus.net
www.gacc.com.ge

საბალანსო უწყისი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

	ახსნა-განმარტება	*2008*	*2007*
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1	753	167
გაცემული სესხები	2	72,174	-
მისაღები პროცენტები		10,742	-
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან	3	12,349	12,349
მოთხოვნები შვილობილ საწარმოებთან		-	98,558
სხვა აქტივები		16,670	-
სულ მიმდინარე აქტივები		**112,688**	**111,074**
გრძელვადიანი აქტივები			
მონაწილეობა სხვა საწარმოში	4	292,111	292,111
სულ გრძელვადიანი აქტივები		**292,111**	**292,111**
სულ აქტივები		**404,799**	**403,185**
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
მომწოდებლებთან ვალდებულებები		-	11,871
მოკლევადიანი კრედიტი		113,521	-
გრძელვადიანი კრედიტის მიმდინარე ნაწილი		13,656	-
საგადასახადო ვალდებულებები	3	1,409	127,936
სხვა ვალდებულებები		728	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**129,314**	**139,807**
სულ ვალდებულებები		**129,314**	**139,807**
კაპიტალი			
სულ კაპიტალი		**275,485**	**263,378**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**404,799**	**403,185**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის უწყისი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

	ახსნა-განმარტება	2008	2007
საოპერაციო შემოსავლები	5	**29,295**	**1,502,093**
ხარჯები	6		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		692	577,285
საპროცენტო ხარჯი		14,767	187,685
გადასახადები		15,973	146,309
ცვეთა და ამორტიზაცია		-	45,397
სესხის ჩამოწერიდან წარმოშობილი საპროცენტო ხარჯი		-	25,078
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი			152,542
საეჭვო ვალების ხარჯი			29,877
აუდიტი და კონსალტინგი			36,459
სხვა საერთო ხარჯი		597	-
სულ ხარჯები		**32,029**	**1,200,631**
არასაოპერაციო შემოსავლები			
შემოსავლები გრანტებიდან		-	7,912
შემოწირულობები		16,978	-
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		**16,978**	**7,912**
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**14,244**	**309,373**
მოგების გადასახადი	7	**2,137**	**61,875**
საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		**12,107**	**247,499**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2008 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	**2008**	**2007**
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება/ზარალი	12,107	247,499
გაცემული სესხები (წმინდა)	(72,174)	2,847,928
სხვა აქტივები	71,146	201,578
მომწოდებლებთან ვალდებულებები	(11,872)	(15,585)
გრძელვადიანი კრედიტის მიმდინარე ნაწილი	13,656	(315,284)
საგადასახადო ვალდებულებები	(126,527)	101,536
სხვა ვალდებულებები	728	(34,048)
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	**(112,936)**	**3,033,623**
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ცვლილება	-	210,718
არამატერიალური აქტივების ცვლილება	-	18,017
ნეტო ფუადილ სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	**-**	**228,735**
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მოკლევადიანი კრედიტი	113,521	(103,150)
ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	-	(1,512,608)
მოთხოვნები შვილობილ საწარმოებთან	-	(98,558)
გრძელვადიანი კრედიტი	-	(2,442,256)
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	**113,521**	**(4,156,573)**
ფულადის სახსრების ნეტო ზრდა	**585**	**(894,216)**
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	**167**	**894,383**
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	**753**	**167**

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში 2008 წლის 31 დეკემბრისათვის *(ლარებში)*

	2008	2007
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის დასაწყისისთვის	**263,378**	**15,879**
წმინდა მოგება	12,107	247,499
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	**275,485**	**263,378**

ზოგადი ინფორმაცია

ფონდი "კრისტალი" წარმოადგენს ქართულ არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არარელიგიურ, არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში სიღარიბის შემცირებას ეკონომიკური ზრდის წახალისებით, რაც მიიღწევა მეწარმეების განათლებით, სათანადო ეკონომკური პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობით და მცირე და საშუალო ბიზნესის დამხმარე მომსახურეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებით.

ფონდის ძირითადი მიზნებია საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებში ფინანსური განათლების გავრცელება, ფინანსურ სექტორში მომსახურებისა და მართვის სტანდარტების ამაღლება, სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება, ფინანსური მომსახურების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, სოციალური და სათემო განვითარების პროექტების განხორციელება.

ფონდი კრისტალი წარმოადგენს 1995 წლიდან დასავლეთ საქართველოში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის – საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთის" რეორგანიზაციის შედეგად გამოყოფილ იურიდიულ პირს. 2007 წლამდე ფონდი „კრისტალი" ახორციელებდა მიკროსაფინანსო საქმიანობას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2007 წლიდან ფონდმა განიცადა რეორგანიზაცია, შეწყვიტა მიკროსაფინანსო საქმიანობის განხორციელება და მოახდინა საკუთარი მიზნებისა და საქმიანობის ფოკუსირება საგანმანათლებლო, სოციალური და სათემო განვითარების ამოცანების შესრულებაზე.

ფონდის საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს ფონდის გამგეობა, ხოლო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მოქმედებს გამგეობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და შიდა დებულებების საფუძველზე.

ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. №29. ფონდის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა №19

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ფონდ "კრისტალის" ანგრიშებს, საბალანსო უწყისსა და მასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ქვემოთ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები.

დართული ფინანსური ანგარიშები მოყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარებში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითად ვალუტას.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ფონდის სალაროში და საბანკო ანგარიშზე რიცხულ თანხებს.

ვალუტის კურსი

ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდებოდა ლარებში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდებოდა ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტის (აშშ დოლარის და ევროს) მიმართ შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	დოლარი	ევრო
ლარი	**1,6670**	**2,3648**

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავალი მოიცავს დონორი ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს, შემოწირულობებს, საპროცენტო შემოსავლებს, მიღებული გრანტების შემოსავლად აღიარება ხდება შესაბამისი დანახარჯების გაწევის პროპორციულად.

ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

1. ფულადი სახსრები

2008 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის ფულადი სახსრები მოიცავს:

	2008	**2007**
ფული საბანკო ანგარიშებზე	753	167
სულ:	**753**	**167**

2. გაცემული სესხები

აღნიშნული სესხები გაცემულია სს კრისტალის აქციონერებზე, ფიზიკურ პირებზე საგადასახადო ვალდებულების დასაფარავად წლიური განაკვეთი 19%. სესხებზე არ არის შექმნილი შესაძლო დანაკარგების რეზერვი. ორგანიზაციის მენეჯმენტი თვლის რომ აღნიშნულ სესხებზე დანაკარგების რისკი 0-ის ტოლია. აღნიშნული სესხები დაბრუნებულია ფონდში 2009 წლის მარტის თვეში და ამჟამად ფონდს მოთხოვნები ამ კუთხით არ აქვს.

3. საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2008 წლის 31 დეკემბრისათვის:

	2008	**2007**
საგადასახადო აქტივები		
მოგების გადასახადი	2,090	2090
დღგ	8,359	8,359
სხვა გადასახადები	1,899	1,899
სულ საგადასახოდო აქტივები	**12,349**	**12,349**
საგადასახადო ვალდებულებები		
მოგების გადასახადი	1,409	-
საშემოსავლო გადასახადი	-	47,770
სოციალური გადასახადი	-	79,617
ქონების გადასახადი	-	549
სულ საგადასახადო ვალდებულებები:	**1,409**	**127,936**

4. მონაწილეობა სხვა საწარმოში

მონაწილეობა სხვა საწარმოში 292,111 ლარი შეადგენს ფონდის წილს სს "კრისტალის" აქციებში.

2008 წელს ფონდის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება მის საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოება "კრისტალის" აქციების ნაწილიდან საქმიანობის შესაბამისი სტანდარტების და მოვალეობების სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში ფონდი ვალდებულებას იღებს გადასცეს გარკვეული რაოდენობის აქციები სააქციო საზოგადოების თანამშრომლებს. საანგარიშო პერიოდის დასარულს ამ დანიშნულებით აქციათა დამოუკიდებელ რეგისტრატორთან ბლოკირებული აქციების რაოდენობა შეადგენს 19.081% -ს, რომელთა ნომინალური ღირებულებაა 292,111 ლარი.

5. შემოსავლები

2008 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში შემოსავლები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

	2008	2007
შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავალი	10,742	1,164,141
საფინანსო მომსახურების გადასახადი	-	99,887
ჯარიმის სახით მიღებული შემოსავალი	-	98,667
სადეპოზიტო შემოსავლები	-	9,993
კურსთაშორის სხვაობის შემოსავალი	919	120,466
მიღებული დივიდენდი	17,260	-
სხვა შემოსავლები	374	8,940
სულ შემოსავლები	**29,295**	**1,502,093**

საპროცენტო შემოსავლების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი (10,742 ლარი) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს პროცენტს გაცემულ სესხებზე.

შემოწირულობა

შემოწირულობა გაკეთებული იქნა ფიზიკური პირის მიერ 2008 წელს 16978 ლარის ოდენობით.

მიღებული დივიდენდი

მიღებული დივიდენდი 17,260 ლარი შეადგენს ორგანიზაციის მიერ შვილობილი საწარმოდან მიღებულ დივიდენდებს.

6. ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2008 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის განმავლობაში გაწეული საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

	2008	**2007**
ხელფასი და სხვა სარგებელი	-	266,911
სოც. გადასახადი ხელფასსა და სხვა სარგებელზე	-	53,381
საწვავ საცხები მასალები	-	38,384
რეკლამის ხარჯი	-	13,404
საიჯარო ქირა		53,981
კომუნიკაცია	-	23,404
დაზღვევა	-	1,614
რემონტის ხარჯი	-	15,761
ცვეთა და ამორტიზაცია	-	45,397
საეჭვო ვალების ხარჯი	-	29,877
სხვა საგადასახადო ხარჯი	15973	146,309
აუდიტორული და სარეიტინგო მომსახურეობა	-	36,459
კადრების გადამზადების ხარჯი	-	-
საკანცელარიო ნივთები	-	13,282
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	2,006
მივლინება	-	3,298
სხვა საერთო ხარჯი	598	45,740
ბანკის მომსახურება	692	33,964
საწევრო გადასახადები	-	-
საპროცენტო ხარჯი	14,766	187,685
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	-	152,542
საპროცენტო ხარჯი სესხის ჩამოწერიდან	-	25,078
კომუნალური და სხვა სამეურნეო ხარჯები	-	12,156
სულ:	**32,029**	**1,200,631**

7. მოგების გადასახადი

ფონდი იხდის მოგების გადასახადს 15%-იანი განაკვეთით. 2008 წლის საგადასახადო მოგება დაბეგვრამდე შეადგენდა **9,393** ლარს.

2008 წლის მოგების გადასახადის გაანგარიშება:

	2008
საგადასახადო მოგება დაბეგვრამდე	**9,393**
	15%
	1,409
გადავადებული საგადასახადო აქტივი (ვალდებულება)	**728**
მოგების გადასახადი	**2,137**

გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი **728** ლარი წარმოშობილია ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვით შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებაში არსებული სხვაობების საფუძველზე.

8. საწარმოს ფუნქციონირებადობა

ფონდი 2009 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით აგრძელებს ფუნქციონირებას და მის საქმიანობის შეწყვეტას რაიმე საფრთხე არ ემუქრება.

****